



## იმერეთის კეთილმოწყობილ მღვიმეებში ერთდროულად დასაშვები ტურისტების სავარაუდო ოდენობის დადგენა

ლანჩავა ო., ნასყიდაშვილი ა., წიქარიშვილი კ., ცაგარეიშვილი ს.

საქართველოს სამთო ინსტიტუტი, თბილისი საქართველო  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისი, საქართველო  
გეოგრაფიის ინსტიტუტი თბილისი, საქართველო

**ანთაცია:** საქართველოს კარსტულ ფენომენებს შორის ანალოგი არ აქვთ ახალი ათონის, ხათაფლის და პრომეთეს ძღვიმურ სისტემებს. ახალი ათონის ძღვიმურ გასული საუკუნის 60-იან წლებში იყო აღმოჩენილი. საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოწყობილი მდგომის მიწისქვეშა დარბაზებს ყოველწლიურად ათასობით მნახველი ჰყავდა, ხოლო უქამდებარებით მიღებული წმინდა შემოსავალი 1 მილიონ რუბლს აჭარბებდა.

საქართველოს მთაგრეხილებში ბენებრივმა პროცესებმა მრავალი საოცარი ძეგლი შექმნა, მათ შორისაა უცხობი, რთული მრავალშესახვლიანი და მრავალსართულიანი იმერეთის ძღვიმური დაცული ტერიტორიები, როგორიცაა ხათაფლის სახელმწიფო ნაკრძალი, პრომეთეს ძღვიმის, თეთრი ძღვიმის, ცუცხვათის ძღვიმის, განის, ნავენახვის, იაზონის და აშ.

შემქცენებითი ტურიზმის განვითარებამ გამოიწვია ტურისტების ნაკადების ზრდა კეთილმოწყობილ ძღვიმებში (ხათაფლია, პრომეთე, ნავენახვი).

**ხავანძო ხიტყვები:** მღვიმე კეთილმოწყობა, ტურიზმი, მონიტორინგი.

მღვიმური სისტემების გარემოს დაცვის მიზნით საჭირო გახდა: პრომეთეს ძღვიმის მაგალიონზე რელიეფის, როგორც ზედაპირული, ისე კარსტული ფორმების და ნაპრალოვან-კარსტული წყლების კომპლექსური შესწავლა; კარსტული მღვიმების მანამდე არსებული ტოპოგრაფიული მასალების შევსება, დახვეწა, მათი კადასტრირება და გავრცელების სქემის შედგენა; მღვიმურ სისტემაში წლის სეზონების მიხედვით სტაციონარული და ეპიზოდური მეტეოროლოგიური დაკვირვებების წარმოება; მღვიმის ატმოსფეროს ელექტრობის ზოგიერთი ელემენტის (ჰაერის იონიზაცია, რადიოაქტიურობა, ჰაერის აირული და ბაქტეროლოგიური შედეგენილობა) თავისებურებების გამოვლენა; წყალტუბოს მღვიმური სისტემის წყალშემკრები აუზის ჰიდრომეტეროლოგიური მონიტორინგის შემუშავება; თბური შეშფოთების კოეფიციენტის, მღვიმები შემოსული ჰაერის ხარჯის (სეზონების მიხედვით) და მასთან დაკავშირებული, მღვიმებში ერთდროულად დასაშვები გქსკურსანტების სავარაუდო ოდენობის დადგენა.

ენერგიის მუდმივობის კანონის თანახმად მიგვაჩნია, რომ ადამიანებისა და განათების მიერ გამოყოფილი სიობო მთლიანად გადაეცემა მღვიმის ჰაერს, რომელიც თა-

ვის მხრივ მიღებულ სითბოს გადასცემს მდვიმის კედლებსა და მდვიმურ წარმონაქ მნებს. ამ უკანასკნელთა მდგრადობის პირობიდან გამომდინარე, საჭიროა ტურისტთა იმ რიცხვის განსაზღვრა, რომელთა ერთდროული დაშვება გონივრულია მოცემულ მდვიმები.

საზოგადოდ აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მდვიმე მიეკუთვნება ე. წ. ელიტურ მდვიმეთა რიცხვს, რომელშიც ერთდროულად დასაშვებ ადამიანთა რიცხვი დიდი არაა. მაშასადამე, წყალტუბოს მდვიმეში ბუნებრივი ჰაერცვლის პირობიდან გამომდინარე, არ შეიძლება ერთდროულად იმაზე მეტი ადამიანის დაშვება, რაც ქვემოთ იქნება განსაზღვრული და იმავდროულად, არ შეიძლება მდვიმე დია იუოს ტურისტებისათვის 8 სთ-ზე მეტი დროის განმავლობაში. დღე-დამის დანარჩენი დრო ესაჭიროება ადამიანებისა და განათების მიერ შეტანილი თბური შეშფოთების ბუნებრივად განეიტრალებას.

შედარებით წყნარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, როცა გარემოს ტემპერატურა იცვლება  $10-20^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში, გამოყოფს დაახლოებით 450-600 კჯ სითბოს ერთი საათის განმავლობაში. ადამიანის მიერ მდვიმეში გამოყოფილი სითბო იანგარიშება ფორმულით

$$Q_1 = 25n\tau_1 m, \quad (1.1)$$

განათების მიერ გამოყოფილი სითბო იანგარიშება ფორმულით

$$Q_2 = 150N\tau_2 m, \quad (1.2)$$

გაანგარიშებას საფუძვლად უდევს შემდეგი მონაცემები:

- 1) კეთილმოწყობილი დარბაზების რიცხვი, რომლებშიც საექსკურსიო ჯგუფი ჩერდება და ათვალიერებს მოცემულ დარბაზს, სადაც ამ დროს უნდა ჩაირთოს განათება – 15;
- 2) განათების ჯამური სიმძლავრე ერთ დარბაზში – 5 კვტ;
- 3) მოელი ტრასის განათების ჯამური სიმძლავრე (100 ვტ ყოველ 22-25 მ მანძილზე) – 4 კვტ;
- 4) მდვიმის იმ ნაწილის სიგრძე, სადაც დაიშვებიან ექსკურსანტები – 910 მ;
- 5) ექსკურსანტების მოძრაობის სიჩქარე – 0.7 კმ/სთ.

თბოფიზიკური გაანგარიშებისათვის მდვიმის ტრასა დაიყო 4 უბნად, რომელთა სიგრძეებია შესაბამისად 260, 270, 170 და 210 მ, რომელთა ჯამი შეადგენს მითითებულ 910 მეტრს.

გაანგარიშებული იქნა სითბოს ჯამური რაოდენობა და მდვიმის ჰაერის ტემპერატურის ნაზრით, ჰაერის მასაგადატანის პოტენციალი, ტემპერატურა და ფარდობითი ტენიონი დადგენილი იქნა საანგარიშო უბნის ბოლოში.

მდვიმის დეპრესიულმა დაგეგმვამ მიწისქვეშეთის ზედაპირთან აეროდინამიკური კავშირი გამოავლინა. მდვიმე ძირითადად ბუნებრივი წევით ნიავდება, თუმცა ცალკეულ ჰერიოდში ჰაერცვლაზე მნიშვნელოვნად მოქმედებენ დინამიური ფაქტორები. მდვიმეში წლის სხვადასხვა დროს შემოსული ჰაერის ნაკადების ოდენობა ( $23 \text{ მ}^3/\text{წთ} - \text{აპრილი}; 58 \text{ მ}^3/\text{წთ} - \text{აგვისტო}$ ) და მიმართულება დროის მცირე მონაკვეთში ცვალებადობს.

თბოფიზიკური გაანგარიშების შედეგად დადგინდა ერთდროულად დასაშვებ ადამიანთა ოპტიმალური და მაქსიმალური რიცხვი, რომლებიც თვეების მიხედვით წარმოდგენილია 1 ცხრილში.

## ცხრილი 1

**ერთდროულად დასაშვებ ადამიანთა რიცხვი წყალტუბოს მდგიმეში**

| წელიწადის თვეები | პატიოს ხარჯი<br>მ³/წთ | ერთდროულად და-<br>საშვებ ადამიანთა<br>ოპტიმალური რიცხვი | ერთდროულად და-<br>საშვებ ადამიანთა<br>მაქსიმალური რიცხ-<br>ვი |
|------------------|-----------------------|---|---|
| იანვარი          | 57.5                  | 38  | 58  |
| თებერვალი        | 55.2                  | 37  | 55  |
| მარტი            | 46.0                  | 30  | 46  |
| აპრილი           | 23.0                  | 15  | 23  |
| მაისი            | 39.1                  | 25  | 39  |
| ივნისი           | 49.5                  | 32  | 50  |
| ივლისი           | 57.0                  | 37  | 55  |
| აგვისტო          | 58.3                  | 38  | 58  |
| სექტემბერი       | 48.3                  | 32  | 50  |
| ოქტომბერი        | 25.3                  | 16  | 25  |
| ნოემბერი         | 32.2                  | 21  | 32  |
| დეკემბერი        | 50.6                  | 33  | 51  |

მე-2 ცხრილში მოცემულია წყალტუბოს მდგიმეში დასაშვებ ტურისტთა საერთო რიცხვი წლის განმავლობაში თვეების მიხედვით.

## ცხრილი 2

**წლის განმავლობაში დასაშვებ პოტენციურ ტურისტთა რიცხვი წყალტუბოს მდგიმეში თვეების მიხედვით**

| წელიწადის თვეები | ტურისტთა ოპტიმალური რიცხვი თვეების მიხედვით | ტურისტთა მაქსიმალური რიცხვი თვეების მიხედვით |
|------------------|---|--|
| იანვარი          | 7068  | 1078   |
| თებერვალი        | 6216  | 9240   |
| მარტი            | 5580  | 8556   |
| აპრილი           | 2700  | 4278   |
| მაისი            | 4500  | 7020   |
| ივნისი           | 5760  | 9000   |
| ივლისი           | 6882  | 10230  |
| აგვისტო          | 7068  | 10788  |
| სექტემბერი       | 5760  | 9000   |
| ოქტომბერი        | 2976  | 4650   |
| ნოემბერი         | 3780  | 5760   |
| დეკემბერი        | 6138  | 9486   |
| საერთო წლიური    | 64428                                       | 98796  |

თბოფიზიკური ანგარიშის შედეგად დადგინდა, რომ ზამთრის პირობებში ყველაზე მაღალი ტემპერატურა მოსალოდნელია მე-4 უბნის ბოლოში, ანუ იქ, სადაც კარსტული ნაკადული იკარგება სიფონში, ხოლო ზაფხულში – საპირისპირო მხარეზე, მდგიმის შესასვლელთან განლაგებულ დარბაზებში იმავე ანგარიშმა უჩვენა, რომ მდგიმის კადლების ტემპერატურა ექსპლუატაციის ისეთი პირობებით, რომლებითაც შესრულე-

ბულია წინამდებარე გაანგარიშება, პრაქტიკულად არ შეიცვლება მინიმუმ 50 წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია მდვიმის საერთო გამოშრობა, ანუ ფარდობითი ტენიანობის ბუნებრივი ფონის დაწევა, რასაც განაპირობებს წყალსარინი გვირაბის მოწყობა და აღნიშნულ სიდიდეს მომავალში კიდევ უფრო მეტად შეამცირებს მდვიმეში სითბოს გამოყოფა მასში ექსკურსანტების დაშვების შედეგად. ამის გამო, ფარდობითი ტენიანობის რეგულირების საკითხი ცალკე გამოყოფას და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

წყალტუბოს მდვიმური სისტემის კვლევა არ დამთავრებულა. მომავალში კიდევ უფრო გამდიდრდება ჩვენი ცოდნა ბუნების მართლაცდა ჰეშმარიტად უნიკალურ მიწისქვეშა ძეგლზე. 2012 წლის მაისში თანამედროვე სტანდარტების დონეზე კეთილმოწყობილი მდვიმე გაიხსნა ტურისტებისათვის. გახსნის პირველივე წელს მდვიმე 80700 კაცმა მოინახულა, მომდევნო წლებში მნახველთა რიცხვმა მხოლოდ ევროპის ქვეყნებიდან 50 000 კაცს გადააჭარბა.

წყალტუბოს (პრომეთეს) მდვიმე ბუნების შესანიშნავი ძეგლია. მისი ცალკეული დარბაზები მართლაც რომ მდიდრულად არის მორთული ნაირფეროვანი ნაღვენთნაწვეთი კალციტური წარმონაქმნებით, რომელთა ხილვა, ეჭვგარეშეა, დიდ ინტერესს იწვევს მნახველთა ფართო წრეებში.

## დასკვნა

მდვიმურ სისტემაში წლების მანძილზე ჩატარებული სტაციონარული და ნახევრად სტაციონარული მეტეორაკვირვებების საფუძველზე ირკვევა:

ა) მდვიმური სისტემის ატმოსფერული წნევის რეჟიმი კირქვული მასივის ჰაერის ცირკულაციური პირობებით, სითბური ბალანსის რეჟიმით და კარსტული რელიეფის თავისებურებებით არის განპირობებული. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს მდვიმის ჰაერის რეჟიმის მჯიდრო კავშირს ტერიტორიის თავზე ჰაერის წნევის ცვლილებასთან.

მიწის ქეშ ჰაერის წნევის დღედამური მსვლელობა ხასიათდება ერთი მაქსიმუმით და ერთი მინიმუმით, რომელთა დადგომის ვადები იცვლება მდვიმის მორფოლოგიასა და დაკვირვების წერტილის სიმაღლესთან დამოკიდებულებით.

ბ) წყალტუბოს მდვიმის კლიმატის საერთო თავისებურებაა ჰაერის ტემპერატურისა (დაახლოებით 0,15-0,20) და აბსოლუტური სინოტივის (დაახლ. 0,08-0,10) ვარიაციის კოეფიციენტების სწრაფი შემცირება შესასვლელიდან სიღრმისაკენ.

ჰაერის ტემპერატურის წლიური მსვლელობა უმნიშვნელო ცვლილებით ხასიათდება. მდვიმეში, იატაკიდან 20-50 სმ სიმაღლეზე, ჰაერის ტემპერატურა რამდენადმე დაბალია ( $0,5-0,9^{\circ}$ ), ვიდრე 1,5-2 მ სიმაღლეზე. მდვიმის შესასვლელიდან დაშორებით ეს სხვაობა ქრება და მყარდება შედარებით სტაბილური კლიმატური ზონა, სადაც ჰაერის ტემპერატურის დღედამური ამპლიტუდა თითქმის არ აღინიშნება. ზოგიერთ უბანზე, განსაკუთრებით სიფონური ტებებისა და მოძრავი წყლის ნაკადების მიდამოებში, დღედამური ამპლიტუდა  $0,1-0,3^{\circ}$ -ის ფარგლებში იცვლება.

გ) ჰაერის სინოტივის მსვლელობა ტემპერატურის მსვლელობის შესაბამისად იცვლება და მდვიმის კლიმატური პირობების შესაფასებლად ერთ-ერთ ძირითად ელემენტებს წარმოადგენს. მდვიმის ჰაერის ტემპერატურასა და სინოტივეს შორის არსებობს მჯიდრო კავშირი. კერძოდ, ჰაერის ტემპერატურის მატებასთან ერთად ჰაერის

აბსოლუტური სინოტივე მატულობს, ხოლო შეფარდებითი – შესამჩნევად მცირდება. ზაფხულობით მღვიმეში შემოსული გარეგანი ჰაერის ტენშემცველობა მაღალია, ზამთარში – დაბალი. ამიტომ, ზამთარში მიწის ქვეშ მღვიმის ამგები ქანების კედლები მშრალია. ჰაერის შედარებითი სიმშრალე კი მაღალ გამაცივებელ თვისებას ანიჭებს მას.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ მღვიმის ბუნებრივი კლიმატური რეჟიმის შენარჩუნების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია სისტემატური კონტროლი გაეწიოს მღვიმური სისტემის ექსპლუატაციის ოპტიმალური ვარიანტის შემუშავების აუცილებლობას: ტურისტ - დამთვალიერებელთა დადგენილი ოდენობის გაშვებას და ხელოვნური გამოსახვლელი გვირაბის კარების საგულდაგულოდ გადება-დახურვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე ამან სავალალო შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

## ლიტერატურა

1. ბოლაშვილი ნ., ლანჩავა ო., წიქარიშვილი კ. წყალტუბო (პრომეთე) მღვიმე სისტემა. წრე. ლამბერტ აკადემიური გამოცემლობა. 2017. 136 გვ.
2. ლეჯავა ზ., წიქარიშვილი კ., ბოლაშვილი ნ., ჩიხლაძე ნ., ნასყიდაშვილი ა., ძაგნიძე ს., ხომასურიძე ზ. წყალტუბოს (პრომეთეს) მღვიმე სისტემის წყალშემკრები აუზის ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგი (კავკასია, დასავლეთ საქართველო). გეოლოგიის ჟურნალი (OJG). 7.12, 2017, გვ. 1774-1785.
3. გიგინეიშვილი გ., ტატაშიძე ზ. წიქარიშვილი . (2007). წყალტუბოს მღვიმური სისტემის შესაძლო გაფართოების გეოგრაფიული-ჰიდროლოგიური არგუმენტები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენი, ვ. 175, არა. 3. გვ. 67-70.
4. ჯიშვარიანი ჯ., ტატაშიძე, ზ., ლანჩავა, ო., წიქარიშვილი კ. წყალტუბოს მღვიმეში კომპლექსური კვლევის ძირითადი შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2010. 2, გვ. 92-95.

## DETERMINING THE ESTIMATED AMOUNT OF TOURISTS ALLO-WED SIMULTANEOUSLY IN IMERETI WELL-ARRANGED CAVES

Lanchava O., Naskidashvili A., Tsikarishvili K., Tsagareishvili S.

**Summary:** There is no analogy between the karst phenomena of Georgia and the new Athos, Sataplia and Prometheus cave systems. The new Athos Cave was discovered in the 60s of the last century. The underground halls of the cave arranged at the level of international standards had thousands of visitors annually and net income earned more than 1 million rubles. The benchmark processes have created many marvelous monuments in Georgia's territories, including unknown, complex and multicolored Imereti Caves Protected Areas, such as the Sataplia State Reserve, Prometheus Cave, White Cave, Tsutskhvati Cave, Vani, Jazon and Ash. The development of cognitive tourism has led to the growth of tourist flows in well-arranged caves (Sataplia, Prometheus).